

# საქართველოს 2020 წლის მაკროეკონომიკური გარემო



## წლიური მიმოსილვა



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2021 წ.

# შინაარსი

შესავალი.....	3
1.რეალური სექტორი.....	4
1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების და დანახარჯების მიხედვით.....	5
1.2 კოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა .....	7
2. საგარეო სექტორი .....	10
2.1 მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დინამიკა.....	11
2.2 საგარეო ვაჭრობის დინამიკა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე).....	13
2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები .....	18
3. ფისკალური სექტორი .....	20
3.1 საბიუჯეტო აგრეგატების მიმოხილვა .....	21
3.2 ჩანართი. დღგ-ის გაპი 2020 .....	23
3.3 ფისკალური პოლიტიკის იმპულსი და ფისკალური სივრცე.....	24
4. მონეტარული სექტორი .....	26
4.1 ინფლაციის მიმოხილვა.....	27
4.2 მონეტარული აგრეგატების მიმოხილვა.....	28
4.3 დევოგითური კორპორაციების მიმოხილვა.....	30
4.4 მონეტარული აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მიმოხილვა .....	31

# ღიაგრამები და ცხრილები

ღიაგრამა 1: დარგების წვლილი მშპ-ს ზრდაში. წყარო: საქსტატი.....	5
ღიაგრამა 2: მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით. წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.....	6
ღიაგრამა 3: მშპ-ის ანალიზი წარმოების ფუნქციით. წყარო: საქსტატი და საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.....	7
ღიაგრამა 4: მშპ-ის გაპი. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.....	8
ღიაგრამა 5: მშპ-ის გაპი და მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება. 9	
ღიაგრამა 6: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი შემადგენელი კომპონენტები, % მშპ-თან, 2013-2020 წწ. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.....	11
ღიაგრამა 7: მიმდინარე ანგარიშის ბალანსის %-ული ზრდა და კომპონენტების წვლილები, 2013-2020 წწ. წყარო: ეროვნული ბანკი.....	12
ღიაგრამა 8: დანაზოგები-ინვესტიციები % მშპ-თან, 2003-2020 წწ. წყარო: საქსტატი, ეროვნული ბანკი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები.....	13
ღიაგრამა 9: ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, მლნ აშშ დოლარი, 2013-2020 წწ. წყარო: საქსტატი.....	13
ღიაგრამა 10: სავაჭრო ბრუნვა რემიონების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი, 2013-2020 წწ. წყარო: საქსტატი.....	14
ღიაგრამა 11: ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, 2020 წ. წყარო: საქსტატი.....	14
ღიაგრამა 12: ძირითადი საქსპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2017-2020 წწ. წყარო: საქსტატი.....	16
ღიაგრამა 13: ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2017-2020 წწ. წყარო: საქსტატი.....	16
ღიაგრამა 14: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა რემიონულ ჭრილში, 2012-2020 წწ. წყარო: საქსტატი.....	18
ღიაგრამა 15: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. წყარო: საქსტატი.....	19
ღიაგრამა 16: ნაერთი ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების კომპონენტები, ათასი ლარი. წყარო: ფინანსთა სამინისტრო.....	21
ღიაგრამა 17: გადასახადების წვლილი საგადასახადო შემოსავლების ზრდაში. წყარო: ფინანსთა სამინისტრო და საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.....	22
ღიაგრამა 18: ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. წყარო: ფინანსთა სამინისტრო.....	23
ღიაგრამა 19: ფისკალური პოზიცია და მშპ-ს გაპი. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები.....	25
ღიაგრამა 20: ფისკალური იმპულსი და მშპ-ს გაპის ცვლილება. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები.....	25
ღიაგრამა 21: საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია. წყარო: საქსტატი.....	27
ღიაგრამა 22: საპროცენტო განაკვეთები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.....	29
ღიაგრამა 23: საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.....	29
ღიაგრამა 24: დეკომპოზირებული კორკორაციების მიმოხილვა. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).. .....	30
ღიაგრამა 25: დეკომპოზირებული კორკორაციების წმინდა საშინაო დაკრედიტება და მისი კომპონენტები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).....	31
ღიაგრამა 26: მონეტარული აგრეგატები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).....	32
ცხრილი 1: 7 უმსხვილესი საქსპორტო სასაქონლო ჯგუფები ქვეყნების მიხედვით, 2020 წელი. წყარო: საქსტატი... 17	
ცხრილი 2: 7 უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები ქვეყნების მიხედვით, 2020 წელი. წყარო: საქსტატი .... 18	
ცხრილი 3: ძირითადი საინვესტიციო დარგების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. წყარო: საქსტატი ..... 19	
ცხრილი 4: საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია, 2019-2020 წწ. წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.....	28
ცხრილი 5: ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (ზრდა ნიშნავს გამყარებას). წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.....	32

## შესავალი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა მიზნად ისახავს წარმოადგინოს ეკონომიკის სექტორების (რეალური, საგარეო, ფისკალური და მონეტარული) ჭრილში ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა და ანალიზი, ასევე შეაფასოს მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს შორის კავშირები საანგარიშო პერიოდში.



# 1. რეალური სექტორი

## ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალურმა ზრდამ -6.2% შეადგინა, ხოლო მშპ-მ ნომინალურ გამოსახულებაში - 49 407 მლნ ლარი. 2019 წელთან შედარებით, მშპ ერთ სულზე 53 ლარით გაიზარდა და ნომინალურ გამოსახულებაში 13 293 ლარს გაუტოლდა (4 275 აშშ დოლარი).

**განმარტება:** მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოადგენს დროის მოცემულ პერიოდში ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ჯამურ ღირებულებას. მშპ ეკონომიკის ყველა სექტორის დამატებული ღირებულების ჯამია, რომელიც, თავის მხრივ, მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობას უდრის. ნომინალური მშპ გამოშვებას მიმდინარე ფასებში აფასებს, ხოლო რეალური - მუდმივ ფასებში. მშპ-ის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან ქვეყნის განვითარების დონის შესაფასებლად ფართოდ გავრცელებული საზომია.

- 2019 წლისგან განსხვავებით, როცა უარყოფითი მშპს-ს გაპი დაიხურა და დადებითი დინამიკა შეინიშნებოდა, 2020 წელს კორონავირუსის (Covid-19) პანდემიიდან გამომდინარე მშპ-ს უარყოფითი გაპი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**განმარტება:** პოტენციური მშპ წარმოადგენს რესურსების ნორმალური ინტენსივობით გამოყენების და, შესაბამისად, ინფლაციის სტაბილური დონის შესაბამის გამოშვებას. მშპ-ის გაპი ასახავს ფაქტობრივი მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრის დონეს, რაც ინფლაციური ან დეფლაციური წნეხის შესახებ იძლევა ინფორმაციას. დროის ნებისმიერ მომენტში ფაქტობრივი მშპ, შესაძლოა, პოტენციურისგან განსხვავებული იყოს, რაც ეკონომიკური ციკლებითაა გამოწვეული.


- 2020 წელს, განსხვავებით წინა წლებისგან, კლების ტენდენციით გამოირჩევა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობაც.

**განმარტება:** მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა ასახავს გამოშვებაზე იმ არადააკვირვებადი ფაქტორის გავლენას, რომელიც არ არის დაკავშირებული წარმოების ფაქტორებთან: შრომასა და კაპიტალთან. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის (TFP) კონცეფცია მოიცავს ტექნოლოგიურ პროგრესს, ინსტიტუციურ ჩარჩოს და სტრუქტურულ ცვლილებებს.

## 1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების და დანახარჯების მიხედვით

**2020 წელს მშპ-ს რეალურმა ზრდამ -6.2% შეადგინა**, რომელიც 2.2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება მთავრობის 2020 წლის ივნისში გაკეთებულ პროგნოზს (-4.0%, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა 2020 წლის ივნისში წარდგენილი ანტიკრიზისული ბიუჯეტი). 2020 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2019 წლის ბოლოსათვის არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზების გათვალისწინებით, თუმცა არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზები სრულად შეცვალა კორონავირუსის პანდემიამ. 2019 წლის დეკემბერში გაკეთებული პანდემიამდელი მშპ-ს პროგნოზი შეადგენდა 4.8%-ს, რომლის მიხედვით დამტკიცდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 0.1 პპ-ით აღემატებოდა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზს (4.7%, რომელიც ამავე დროს წარედგინა საქართველოს პარლამენტს). აღსანიშნავია, ისიც, რომ 2021 წლის დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მთავრობის პროგნოზი 2020 წლის მშპ-თან მიმართებაში შეიცვალა და -5.0%-ით განისაზღვრა, ამავე დროს შეიცვალა საბიუჯეტო ოფისის 2020 წლის მშპ-ს პროგნოზი და -5.3%-ით განისაზღვრა.


**მშპ-ს დარგობრივ ჭრილში ანალიზიდან ვლინდება**, რომ ეკონომიკის კლებაზე, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო მმართველობის, განათლების და ჯანდაცვის გარდა, ყველა დარგმა უარყოფითი გავლენა იქონია. კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება გამოიწვია და აღნიშნული უარყოფითად აისახა ეკონომიკურ ზრდაზე. შეზღუდვების უარყოფითი ეფექტები უფრო მეტად მომსახურების დარგებზე აისახა, განსაკუთრებით კი ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებზე და შესაბამისად მაღალი იყო აღნიშნული დარგების წვლილი უარყოფითი ეკონომიკური ზრდის ფორმირებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასტუმროების და რესტორნების (-1.71 პროცენტული პუნქტი (პპ)), ტრანსპორტის (-1.29 პპ), გაჭრობის (-0.70 პპ), ხელოვნების, გართობა, დასვენების (-0.58 პპ) და მშენებლობის (-0.35 პპ) წვლილი. 2020 წელში დაფიქსირებულმა უარყოფითმა ზრდამ, გავლენა იქონია 2011-2020 წლის დარგობრივ საშუალო მაჩვენებლებზეც შემცირების მიმართულებით. როგორც მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკის ანალიზიდან იკვეთება, ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმმართველი დარგები 2011-2020 წლებში იყო საფინანსო საქმიანობა, მშენებლობა, ოპერაციები უძრავი ქონებით და მრეწველობა.



**დიაგრამა 1:** დარგების წვლილი მშპ-ს ზრდაში. წყარო: საქსტატი. საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

**რაც შეეხება მშპ-ის ანალიზს დანახარჯების მიხედვით, 2020 წლის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, რეალური მშპ-ის -6.2%-იან ზრდაში წმინდა მოხმარების დადებითი წვლილი 4.5 პპ-ს აღწევს, ინვესტიციებმა უარყოფითი 0.9 პპ-იანი წვლილი შეიტანეს, ხოლო წმინდა ექსპორტის უარყოფითმა წვლილმა 9.8 პპ შეადგინა. 2020 წელს ეკონომიკა წინა წლებისგან განსხვავებული სტრუქტურით და დინამიკით ხასიათდებოდა, გამომდინარე კორონავირუსის პანდემიიდან. პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით კი მომსახურების ექსპორტის შემცირება მოხდა, ტურისტული აქტივობის შეჩერებიდან გამომდინარე. 2020 წელს დაფიქსირდა მომსახურების ექსპორტის 64.5% კლება, მთლიანობაში კი ექსპორტი 38.2%-ით შემცირდა, მაშინ როდესაც 2015-2019 წლებში ამავე კომპონენტის საშუალო ზრდის ტემპი 8.9%-ს შეადგენდა. მნიშვნელოვნად (17.4%-ით) შემცირდა ასევე საქონლისა და მომსახურების იმპორტი (6.6%-იანი ზრდა 2019 წელს). 2020 წელს მოხმარების 5.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო რეალური ინვესტიციების კლებამ 3.4% შეადგინა (5.9%-იანი კლება 2019 წელს).**

დანახარჯების მიხედვით მშპ-ის დინამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ 2013-2019 წლებში ძირითადად მოხმარების, ინვესტიციებისა და ექსპორტის კომპონენტებს მშპ-ის რეალურ ზრდაში დადებითი წვლილი შეჰქონდა, ხოლო იმპორტს - უარყოფითი. თუმცა არსებობდა გამონაკლისი წლებიც როდესაც აღნიშნული სტრუქტურიდან, ერთი ან ორი კომპონენტი ავლენდა განსხვავებულ დინამიკას. **კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, წინასწარი მონაცემებით, 2020 წელიც განსხვავებულ დინამიკას ავლენს, როდესაც იმპორტმა განსხვავებით წინა წლებისგან ზრდაში დადებითი წვლილი შეიტანა, ხოლო ინვესტიციები და ექსპორტი უარყოფითი წვლილით გამოიჩინა.**




**დიაგრამა 2:** მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით. წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

## 1.2 პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა

მშპ-ს ფორმირება ძირითადად ხდება წარმოების ფაქტორების: სამუშაო ძალის და კაპიტალის გამოყენებით. ასევე მხედველობაში მისაღებია ზემოაღნიშნული წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობა/მწარმოებლურობა, ე.წ. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა, რომლის შეფასებაც ყველაზე მეტ სირთულეს წარმოადგენს, რადგან იგი დაუკვირვებადი ფაქტორია და უამრავ კომპონენტს მოიცავს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეალური სექტორის შესახებ სრული სურათის მისაღებად მნიშვნელოვანია მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების ანალიზი წარმოების ფუნქციაზე დაყრდნობით.**

საბიუჯეტო ოფისი აღნიშნული ანალიზისათვის იყენებს ე.წ. კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციას<sup>1</sup>. კაპიტალის და სამუშაო ძალის ელასტიკურობის შეფასების შემდეგ, გაანგარიშებულ იქნა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის ზრდის ტემპი, როგორც ნაშთი კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციიდან. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკა, კაპიტალის და სამუშაო ძალის ზრდის მაჩვენებლებთან ერთად, ნაჩვენებია დიაგრამაზე #3. **როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2020 წელს, ისე როგორც გასულ წლებში, კაპიტალის ზრდას მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ეკონომიკურ აქტივობაში. რაც შეეხება მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობას, მისი ზრდის ტემპი განსხვავებით წინა წლებისგან თვალსაჩინოდ უარყოფითი გახდა.** მიუხედავად პანდემიის და ეკონომიკური კრიზისისა უნდა აღინიშნოს კაპიტალის დადებითი ზრდის მაჩვენებელი. 2020 და 2009 წლების კრიზისების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო სწორედ ის, რომ პანდემიას დიდად არ შეუფერხებია ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელება. 2020 წელს ინვესტიციები შემცირდა, თუმცა არა იმდენად რომ მთლიანი კაპიტალის მოცულობა შემცირებულიყო, განსხვავებით 2009 წლისაგან, როდესაც ეკონომიკური კრიზისის მთავარი სიმძიმე ინვესტიციების მნიშვნელოვან კლებაში გამოიხატა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის კრიზისი ფაქტორების პროდუქტიულობის გაუარესებასთან ერთად სამუშაო ძალის დიდი უარყოფითი წვლილითაც გამოირჩა, მაშინ როცა 2009 წლის კრიზისის დროს სამუშაო ძალას ასეთი მნიშვნელოვანი შოკი არ განუცდია და პირიქით ზრდაზე დადებითადაც კი იმოქმედა.




**დიაგრამა 3:** მშპ-ის ანალიზი წარმოების ფუნქციით. წყარო: საქსტატი და საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

<sup>1</sup> იხილეთ საბიუჯეტო ოფისის 2015 წლის მაკროეკონომიკური გარემოს წლიური მიმოხილვა

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი<sup>2</sup>.

თუ ფაქტობრივი მშპ აღემატება მის პოტენციურ დონეს, მაშინ სახეზე გვაქვს მშპ-ს დადებითი გაპი (ინფლაციური გაპი), ხოლო თუ ფაქტობრივი მშპ პოტენციურს ჩამორჩება, მაშინ ქვეყანაში მშპ-ს უარყოფითი გაპია, რასაც ხშირად რეცესიულ გაპსაც უწოდებენ. მშპ-ს პოტენციური დონის შეფასებისათვის ხშირად გამოიყენება როგორც სტატისტიკური მეთოდები (ჰოდრიკ-პრესკოტის, ბენდ-პასის ფილტრები), ისე - ეკონომიკურ თეორიაზე დაფუძნებული სხვადასხვა შეფასება (მაგ., კალმანის ფილტრი).

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ პოტენციური მშპ-ს შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. კალმანის ფილტრი, რომელიც ემყარება კვარტალურ მონაცემებს და ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკურ აქტივობასა და ფასების დონის ცვლილებას. აღნიშნული შეფასების საფუძველზე შესწავლილი მშპ-ის გაპის მარკენებელი გამოსახულია დიაგრამა 4-ზე. როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2016 წლიდან უარყოფითი მშპ-ის გაპი არსებითი გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს და 2019 წელს უარყოფითი გაპი დაიხურა და ეკონომიკის აქტივობა გაუთანაბრდა თავის პოტენციურ დონეს. თუმცა 2020 წელს COVID-19-ით გამოწვეულმა პრობლემებმა უარყოფითად იმოქმედა მშპ-ს გაპზეც და იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2020 წელს ეკონომიკის აქტივობა - 4.3%-ით ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს.




**დიაგრამა 4:** მშპ-ის გაპი. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

აქვე აღსანიშნავია, რომ მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრასა და მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობის ტემპს შორის მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია იკვეთება: იმ წლებში, როდესაც ქვეყანაში მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა იზრდებოდა, რეალური მშპ ან მის

<sup>2</sup> დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

პოტენციურ დონესთან ახლოს, ან მასზე მეტი იყო, პროდუქტიულობის ტემპის შემცირება კი უარყოფითი გაპის პერიოდებს ემთხვევა. აღნიშნული ტრენდი შენარჩუნდა 2020 წელსაც, როდესაც ფაქტორების პროდუქტიულობის შემცირების პარალელურად მშპ-ს უარყოფითი გაპი გაიზარდა.



**დიაგრამა 5:** მშპ-ის გაპი და მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

## 2. საბარეო სექტორი

### ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 12.3% შეადგინა, რაც 6.9 პპ-ით მეტია წინა წელთან შედარებით. აღნიშნული ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდში მომსახურების სავაჭრო ბალანსი გაუარესდა, ასევე აღსანიშნავია საქონლის სავაჭრო ბალანსის და შემოსავლების ბალანსის უარყოფითი და ტრანსფერტების მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტები დეფიციტის მაჩვენებელზე.

**განმარტება:** საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს კალენდარული წლის განმავლობაში ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საქონელთან, მომსახურებასთან და აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების ჩანაწერს. მიმდინარე ანგარიშში საგადასახდელო ბალანსის ერთ-ერთი კომპონენტია, კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშებთან ერთად. მიმდინარე ანგარიშში მოიცავს საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან და იმპორტთან, ასევე რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის შემოსავლების ნაკადებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს.


- უარყოფითი მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს სხვა ინვესტიციების მუხლი წარმოადგენს, რომლის მოცულობაც 2020 წელს 2 371 მლნ დოლარით გაიზარდა. აღნიშნულ ზრდაში მნიშვნელოვანი როლი 2020 წელს სამთავრობო სექტორის მიერ აღებული სესხების მუხლის ზრდამ ითამაშა.

**განმარტება:** სხვა ინვესტიციების მუხლი წარმოადგენს ფინანსური ანგარიშის ნარჩენობით წევრს და მოიცავს ყველა იმ ფინანსურ ტრანზაქციას, რომელიც არ განიხილება პირდაპირ ინვესტიციად, პორტფელურ ინვესტიციად ან სარეზერვო აქტივად.


## 2.1 მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დინამიკა

2020 წელს ნომინალურ გამოსახულებაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოცულობა 2019 წელთან შედარებით 104.9%-ით გაიზარდა და 1 962 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსის აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია მისი შემადგენელი კომპონენტების დინამიკასთან:

- Covid-19-ის პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა საგარეო მოთხოვნაზე, რამაც საგადასახდელო ბალანსის გაუარესებას შეუწყო ხელი. გასულ წელთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის უარყოფითი სავაჭრო სალდო, ისე მომსახურების დადებითი სავაჭრო სალდო, თუმცა დადებითი სალდოს შემცირებამ საგრძნობლად გადააჭარბა უარყოფითის შემცირებას და 2020 წელს მთლიანი უარყოფითი სავაჭრო სალდო მნიშვნელოვნად გაუარესდა. პანდემიამ განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა მომსახურების სავაჭრო სალდოზე, საერთაშორისო მოგზაურობის კლებამ შეამცირა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და უარყოფითად აისახა მომსახურების ექსპორტის შემცირებაზე. აღნიშნული ძირითადად აისახა მომსახურების ექსპორტის 65.5%-ით შემცირებაში, ამასთანავე, მნიშვნელოვნად შემცირდა მომსახურების იმპორტი 40.1%-ით, რაც შეეხება საქონლის სავაჭრო სალდოს - ექსპორტის 12.3%-იანი, ხოლო იმპორტის 13.8%-იანი კლება დაფიქსირდა.
- 2020 წელს განსაკუთრებული როლი ითამაშა მომსახურების სავაჭრო სალდოს გაუარესებამ (ძირითადად ექსპორტის შემცირების გამო), რომელიც %-ად მშპ-თან 11.6 კპ-ით გაუარესდა და 0.8%-ს გაუტოლდა.
- აღსანიშნავია რომ საქონლის უარყოფითი სალდო შემცირდა, 2020 წელს როგორც საქონლის ექსპორტი ისე იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა იმპორტის კლებამ გადააჭარბა ექსპორტის კლებას.
- ამავდროულად 10 მლნ დოლარით შემცირდა შემოსავლების მუხლის უარყოფითი სალდო (-765 მლნ დოლარი), რამაც 2020 წლის ბალანსზე გაუმჯობესების მიმართულებით იმოქმედა.
- 2020 წელს უარყოფითი ბალანსის შემცირებაზე მნიშვნელოვნად დადებითად იმოქმედა მიმდინარე ტრანსფერტების მოცულობის ზრდამ (434 მლნ აშშ დოლარით). აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო როგორც კერძო, ასევე სამთავრობო ტრანსფერტების მატებით.



**დიაგრამა 6:** მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი შემადგენელი კომპონენტები, % მშპ-თან, 2013-2020 წწ. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




**დიაგრამა 7:** მიმდინარე ანგარიშის ბალანსის %-ული ზრდა და კომპონენტების წვლილები, 2013-2020 წწ. წყარო: ეროვნული ბანკი

**მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში:**

- უარყოფითი მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს სხვა ინვესტიციების მუხლი წარმოადგენს, რომლის მოცულობაც 2020 წელს 2 371 მლნ დოლარით გაიზარდა. აღნიშნულ ზრდაში მნიშვნელოვანი როლი 2020 წელს სამთავრობო სექტორის მიერ აღებული სესხების მუხლის ზრდამ ითამაშა.
- აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების წყაროებიდან სხვა ინვესტიციებთან ერთად უმნიშვნელო დადებითი წვლილი ფინანსურმა წარმოებულებმაც შეიტანა. იგი 23 მლნ დოლარით გაუმჯობესდა და 27 მლნ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.
- აღსანიშნავია წმინდა პირდაპირი ინვესტიციების<sup>3</sup> უარყოფითი წვლილი დაფინანსებაში, რომელიც 435 მლნ დოლარით შემცირდა და 594 მლნ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.
- რაც შეეხება კაპიტალის ანგარიშს, უარყოფითი მიმდინარე ბალანსის დაფინანსებაში უმნიშვნელო უარყოფითი წვლილი შეიტანა კაპიტალის მუხლში აღრიცხულმა ოპერაციებმა, რომლებიც 2019 წელთან შედარებით 13%-ით (6.3 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა.

**მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მოცულობის ანალიზი დანაზოგებთან და ინვესტიციებთან მიმართებაში.** კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი წარმოადგენს სხვაობას დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობებს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც მთლიანი დანაზოგები (მთავრობის და კერძო დანაზოგების ჯამური მოცულობა) აჭარბებს ინვესტიციების მოცულობას, წარმოიქმნება მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო. ხოლო, როცა დანაზოგები მცირეა ინვესტიციებთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის სალდო დეფიციტურია. თავის მხრივ, დანაზოგები განკარგვადი შემოსავლისა და მოხმარების სხვაობას უტოლდება. შესაბამისად, დაბალი განკარგვადი შემოსავლის პირობებში დანაზოგების მოცულობა მცირეა. ასეთ დროს ინვესტიციების დაფინანსების წყაროს უცხოური სახსრები წარმოადგენს.

<sup>3</sup> პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს.



**დიაგრამა 8:** დანაზოგები-ინვესტიციები % მშპ-თან, 2003-2020 წწ. წყარო: საქსტატი, ეროვნული ბანკი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები


საქართველოსათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტური ბალანსი გამოწვეულია დანაზოგების მცირე მოცულობით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კლების ტენდენციას ავლენდა, რაც ძირითადად მთლიანი დანაზოგების მოცულობის ზრდას უკავშირდებოდა.

2020 წელს გაიზარდა მთლიანი ინვესტიციების მშპ-თან ფარდობითი მაჩვენებელი 25.3%-დან 26.2%-მდე. ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი მსგავს დინამიკას ინარჩუნებს და დაახლოებით 27%-ის ფარგლებში ფიქსირდება, აღსანიშნავია რომ აღნიშნულ ტენდენციაზე გავლენა პანდემიას არ მოუხდენია. 2020 წელს პირველად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მთავრობის დანაზოგები უარყოფითი გახდა და მშპ-ს 4.9%-დან -1.1%-მდე შემცირდა, ხოლო კერძო დანაზოგები 14.9%- დან 15.3%-მდე გაიზარდა. აქედან გამომდინარე დანაზოგების შემცირებამ და ინვესტიციების ზრდამ ერთი მიმართულებით იმოქმედეს საგარეო ინდიკატორებზე, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდაში გამოიხატა.

## 2.2 საგარეო ვაჭრობის დინამიკა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე)

2020 წელს:


- საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე), წინა წელთან შედარებით, 14.6%-ით შემცირდა და 11,373 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, ექსპორტი 12.0%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი 15.6%-ით. ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი კი შესაბამისად გაიზარდა და 41.6%-ით განისაზღვრა.
- საგარეო სავაჭრო დეფიციტი წინა წელთან შედარებით 18.0%-ით შემცირდა, 4,689 მლნ დოლარი შეადგინა და მისი თანაფარდობის მაჩვენებელი საგარეო საქონელბრუნვის მიმართ 41%-ს გაუტოლდა (2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 43%-ს შეადგენდა).



**დიაგრამა 9:** ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, მლნ აშშ დოლარი, 2013-2020 წწ. წყარო: საქსტატი.


**რეგიონულ ქრისტიანულ საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემდეგ ტენდენციას ავლენს:**

2020 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის წილმა 23.2% შეადგინა, დსთ-ის ქვეყნების - 34.3%, ხოლო დანარჩენი ქვეყნების წილმა - 42.5%. საყურადღებოა, ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა თუმცა 2020 წელს, მსგავსად 2019 წლისა, კლება დაფიქსირდა რაც ძირითადად ევროკავშირიდან იმპორტის 20%-იანი, ხოლო ექსპორტის 12.5%-ით კლებით იყო გამოწვეული. 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში 26.2%-ით, ხოლო იმპორტის უმნიშვნელო 1.9%-იანი კლება დაფიქსირდა, საბოლოოდ კი დსთ-ს ქვეყნებში სავაჭრო ბრუნვის 13%-ით შემცირდა. 2020 წელს სავაჭრო ბრუნვა ასევე შემცირდა დანარჩენ ქვეყნებთან (13.9%-ით), რაც ძირითადად ამ ქვეყნებიდან იმპორტის კლებით იყო გამოწვეული (20.5%-ით). როგორც ვაჭრობის რეგიონული ანალიზიდან ჩანს **2020 წელს იმპორტის კლება დაფიქსირდა, როგორც ევროკავშირის ასევე, დსთ-ს და დანარჩენი ქვეყნების ბაზრებიდან, ხოლო ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ დანარჩენ ქვეყნებთან.**



**დიაგრამა 10:** სავაჭრო ბრუნვა რეგიონების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი, 2013-2020 წწ, წყარო: საქსტატი

2020 წელს საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ: თურქეთი (1,598 მლნ დოლარი, მთლიანი საგარეო საქონელბრუნვის 14%), რუსეთი (1,329 მლნ დოლარი, 12%), ჩინეთი (1,185 მლნ დოლარი, 10%). აზერბაიჯანი (935 მლნ დოლარი, 8%), და აშშ (636 მლნ დოლარი, 6%). (იხ. დიაგრამა 11). სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში აღნიშნული 5 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი 50%-ით განისაზღვრა, ხოლო 10 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის - 70.4%-ით.



**დიაგრამა 11:** ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, 2020 წ. წყარო: საქსტატი

ექსპორტის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენდნენ<sup>4</sup>:

- ჩინეთი (476 მლნ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 14%);
- აზერბაიჯანი (441 მლნ დოლარი, 13%);
- რუსეთი (441 მლნ დოლარი, 13%);
- ბულგარეთი (312 მლნ დოლარი, 9%);
- უკრაინა (217 მლნ დოლარი, 7%).

აღნიშნული 5 ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნის წილმა 2020 წელს ექსპორტის მთლიან მოცულობაში 56.5% შეადგინა (წინა წელს 52%), ხოლო 10-მა უმსხვილესმა ქვეყანამ - 75.9% (წინა წელს 73.7%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ 2019 წელთან მიმართებით, 2020 წელს ექსპორტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტის მიხედვით, 2020 წელს საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ<sup>5</sup>:


- თურქეთი (1,408 მლნ დოლარი, მთლიანი იმპორტის 18%);
- რუსეთი (888 მლნ დოლარი, 11%);
- ჩინეთი (709 მლნ დოლარი, 9%);
- აშშ (556 მლნ დოლარი, 7%);
- აზერბაიჯანი (493 მლნ დოლარი, 6%).

5 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნის წილმა მთლიან იმპორტში 50.5% შეადგინა (წინა წელს - 49.3%), ხოლო 10 იმპორტიორი ქვეყნის მიხედვით - 70% (წინა წელს - 67%), ანუ იმპორტიორი ქვეყნების დივერსიფიკაცია მცირედით გაუარესდა.


**რაც შეეხება სავაჭრო სავაჭრო ბრუნვას სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამებზე #12 და #13.**

<sup>4</sup> 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, 3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მიხედვით საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი: გაიზარდა ჩინეთში 113%-ით და პირველი ადგილი დაიკავა ექსპორტიორ ქვეყნებში, 2019 წელს კი მე-6 ადგილზე იყო (ძირითადად სპილენძის მადნების და კონცენტრატების 129%-იანი ზრდის გამო, ასევე გაიზარდა ძვირფასი ლითონების ექსპორტი); აზერბაიჯანში 13%-ით შემცირდა (ძირითადად მსუბუქი ავტომობილების, სიგარეტების და სამკურნალო საშუალებების ექსპორტის შემცირების გამო) რუსეთში 11%-ით შემცირდა (ძირითადად მინერალური წყლების, ღვინის, მედიკამენტების, ფეროშენადნობების გავლენით).

<sup>5</sup> წინა წელთან მიმართებით, 2020 წელს 3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მიხედვით, საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობა შემცირდა: თურქეთიდან (13%-ით, ძირითადად - მსუბუქი ავტომობილების, მედიკამენტების, ნავთობის იმპორტის შემცირების გამო, მიუხედავად იმისა რომ 10 კაცზე მეტი მოცულობის ავტომობილების იმპორტის 82%-იანი ზრდა დაფიქსირდა); რუსეთიდან (9%-ით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ქვანახშირის, ელექტროენერჯის გავლენით); ჩინეთიდან (17%-ით, ჰაერის კონდიციონერების მოწყობილობების, ტრანსფორმატორების, ორთქლის ქვაბების, ტურბინების იმპორტის შემცირების გამო).



**დიაგრამა 12:** ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2017-2020 წწ. წყარო: საქსტატი



**დიაგრამა 13:** ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2017-2020 წწ. წყარო: საქსტატი

როგორც დიაგრამებიდან ვლინდება:

- საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი ძირითადად რამდენიმე სახეობის საქონელზეა კონცენტრირებული, რაც საგარეო მოთხოვნის მკვეთრი რყევების პირობებში პოტენციური ეკონომიკური რისკების შემცველია. მაგალითად, 2012-2014 წწ. საქართველოდან ექსპორტის ერთ-ერთ უმსხვილეს სასაქონლო პოზიციას მსუბუქი ავტომობილები წარმოადგენდა (ძირითადად აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთში). იმპორტიორ ქვეყნებში მიღებული რეგულაციების გავლენით, 2015 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 65.4%-ით შემცირდა და მხოლოდ 179.1 მლნ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 8%). თუმცა, იმპორტიორ ქვეყნებში შემოღებული ახალი სტანდარტების გათვალისწინებით 2018 და 2019 წლებში ზრდა კვლავ შესამჩნევი იყო (განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთში), 2019 წელს ზრდის ტემპმა 71% შეადგინა და 732.8 მლნ დოლარს მიაღწია (მთლიანი ექსპორტის 19%). 2020 წელს კორონავირუსის პანდემიამ გავლენა იქონია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტზეც, 45%-იანი კლების შემდეგ 404,1 მლნ დოლარი შეადგინა ექსპორტის მოცულობამ და 2019 წლის მოწინავე ადგილად მეორე პოზიციამე გადაინაცვლა.
- 2020 წელს საქართველოში განხორციელებული იმპორტის მთლიან მოცულობაში 5 ძირითადი სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წილი 30.3% იყო (2019 წელს 33.1%), ხოლო 10 ძირითადი სასაქონლო ჯგუფის - 36.7% (2019 წელს 39.4%), რაც ექსპორტთან შედარებით, იმპორტის დივერსიფიკაციის უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი სასაქონლო ჯგუფი კვლავ კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაზე, კერძოდ 2020 წელს ხორბლის იმპორტის უდიდეს წილს (99%) რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქცია შეადგენდა (2019 წელს 83.2%). კვლავ მაღალია, თუმცა შემცირდა ნავთობის აირების წილი აზერბაიჯანიდან, რომელმაც 2020 წელს 82.3% შეადგინა (2019 წელს 87.1%).

საქონელი								
ქვეყნები, რომელთა წილი აღემატება 10%-ს	საკლასიფიკაციო მანძილი	მსუბუქი ავტომობილები	ფაროშენადნობები	ღვინო	სპირტიანი სასმელები	მინერალური და მტკნარი წყლები	სამკურნალო საშუალებები	
							საკლასიფიკაციო მანძილი	მსუბუქი ავტომობილები
10-50%			თურქეთი (13%)	უკრაინა (11%)	საფრანგეთი (12%)	ლიეტუვა (14%)	რუსეთი (11%)	
		უკრაინა (20%)	აშშ (25%)		რუსეთი (24%)	ყაზახეთი (14%)	აზერბაიჯანი (18%)	
	ბულგარეთი (37%)				უკრაინა (28%)	უკრაინა (18%)		
			რუსეთი (44%)			რუსეთი (38%)	უზბეკეთი (41%)	
51-90%	ჩინეთი (54%)	აზერბაიჯანი (56%)		რუსეთი (57%)				

ცხრილი 1: 7 უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები ქვეყნების მიხედვით, 2020 წელი. წყარო: საქსტატი


		საქონელი						
ფაქტობრივი, რომელთა წილი აღემატება 10%-ს		მსუბუქი ავტომობილები	სპილენძის მადნები	ნავთობი	სამკურნალო საშუალებები	ნავთობის აირები	სატელეფონო აპარატები	სორბალი
			იაპონია (18%)	ბრაზილია (13%)	თურქმენეთი (13%)	გერმანია (13%)		ჩეხეთი (11%)
10-50%			ჩილე (14%)	აზერბაიჯანი (14%)	თურქეთი (14%)	რუსეთი (16%)	ჰონ-კონგი (14%)	
				რუმინეთი (19%)			რუსეთი (17%)	
				რუსეთი (26%)				
							არაბთა სამეირები (39%)	
51-90%								
		აშშ (62%)	სომხეთი (60%)					
						აზერბაიჯანი (82%)		რუსეთი (99%)

ცხრილი 2: 7 უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები ქვეყნების მიხედვით, 2020 წელი. წყარო: საქსტატი

### 2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


2020 წელს:

- საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 617 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 53%-ით ნაკლებია 2019 წლის მონაცემთან შედარებით. მათ შორის: ევროკავშირის ქვეყნებიდან 601 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 97%), დსთ-ის ქვეყნებიდან 20 მლნ აშშ დოლარი (3%), დანარჩენი ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უარყოფითი 4 მლნ აშშ დოლარი (-1%).
- საგადასახდელ ბალანსში აღრიცხულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2020 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რეინვესტირებული თანხების მოცულობა. მისი წილის მარჯვენაზელი საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალია (91%).



დიაგრამა 14: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა რეგიონულ ქრთმში, 2012-2020 წწ. წყარო: საქსტატი

**რეგიონულ ქრილში**, ძირითად ინვესტორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ: გაერთიანებული სამეფო (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50%), ნიდერლანდები (28%) თურქეთი (18%), აშშ (15%) და სხვა. ხოლო **დარგობრივ ქრილში**, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა: საფინანსო სექტორში (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 65%), სამთომოპოვებით მრეწველობაში (16%), უძრავ ქონებაში (12%), დამამუშავებელ მრეწველობაში (11%) და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილ საინვესტიციო დარგებში ყველაზე მეტად დივერსიფიცირებულია უძრავი ქონება, სადაც 2020 წელს 4 სხვადასხვა ქვეყნის წილი 60%-ს შეადგენდა. ნაკლებ დივერსიფიცირებულია საფინანსო სექტორი და სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგები. საფინანსო სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 81% გაერთიანებულ სამეფოზე მოდის, ხოლო სამთომოპოვებით მრეწველობაში შეიძლება ითქვას რომ ინვესტიციები მხოლოდ ნიდერლანდიდან განხორციელდა (99.5%).



**დიაგრამა 15:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. წყარო: საქსტატი

დარგები						
ქვეყნები, რომელთა წილი აღემატება 10%-ს	10-50%	საფინანსო	სამთომოპოვებითი მრეწველობა	უძრავი ქონება	დამამუშავებელი მრეწველობა	მშენებლობა
						გერმანია (11%)
				რუსეთი (15%)	ვირჯინის კ-ები (18%)	ერაყი (27%)
				აშშ (25%)		
50<-%					ნიდერლანდი (67%)	
	გაერთიანებული სამეფო (81%)	ნიდერლანდი (100%)				თურქეთი (115%)

**ცხრილი 3:** ძირითადი საინვესტიციო დარგების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. წყარო: საქსტატი<sup>6</sup>

<sup>6</sup> აღნიშნულ სტრუქტურაში ჯამურად 100%-ზე მაღალი წილი შესაძლოა გამოწვეულ იქნას ზოგიერთ ქვეყნის უარყოფითი მნიშვნელობით.

### 3.

## ფისკალური სექტორი


### ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 12,407 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3.9%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.  
განმარტება: ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს საგადასახადო შემოსავლებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს.
- ხარჯები. ე.წ მიმდინარე ხარჯები წინა წელთან შედარებით 23.7%-ით (2,567 მლნ ლარით) გაიზარდა და 13,399 მლნ ლარი შეადგინა. არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს არაფინანსური აქტივების შექმნაც (4%-ით, 156 მლნ ლარით), რომელმაც 3,790 შეადგინა.  
განმარტება: ბიუჯეტის ხარჯები (ე.წ. მიმდინარე ხარჯები) მოიცავს შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის და სხვ. ხარჯებს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა მოიცავს გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციებს.
- მცირედით (2.0 მლნ ლარით) გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლება ე.წ პრივატიზაცია, და 2020 წელს 208 მლნ ლარი შეადგინა.
- 2019 წელთან შედარებით გაუარესდა ნაერთი ბიუჯეტის, როგორც საოპერაციო, ისე მთლიანი სალდო, შესაბამისად გაუარესდა ბიუჯეტის დეფიციტიც (შეადგინა მშპ-ს 9.3%). უნდა აღვნიშნოთ რომ აღნიშნული ფისკალური პოლიტიკა 2020 წელს ანტიციკლური იყო, რადგან მშპ-ს უარყოფითი გაპი ზრდის ტენდენციას ავლენდა.  
განმარტება: ბიუჯეტის სალდო ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად აუცილებელი ინდიკატორია. სხვადასხვა მიზნისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სალდო. საოპერაციო სალდო ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების სხვაობაა. მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი/პროფიციტი) საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების წმინდა ცვლილების სხვაობას წარმოადგენს.
- 2019 წელთან შედარებით შემცირდა პოტენციური დამატებული ღირებულების გადასახადის მოცულობა და ასევე შემცირდა ფაქტობრივ და პოტენციურ დღგ-ს შორის სხვაობაც (გაპი).  
განმარტება: საგადასახადო გაპი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პოტენციურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობას ასახავს. საგადასახადო გაპი, შესაძლებელია, გამოიწვიოს სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტილებებმა და გადასახადის გადამხდელთა განზრახ ან/და უნებლიე ქცევამ.

### 3.1 საბიუჯეტო აგრეგატების მიმოხილვა

2020 წელს:

- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 12,407 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3.9%-ით ნაკლებია 2019 წლის მარჩვენებელზე. 2019 წელს კი ანალოგიური მარჩვენებლის ზრდის ტემპი 9.2%-ს შეადგენდა. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 4.0%-ით, ხოლო გრანტები და სხვა შემოსავლები შესაბამისად 3.3% და 3.1%-ით.
- გრანტებისა და სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულმა თანხებმა ერთობლივად მთლიანი შემოსავლების 11.6% შეადგინა, რაც მცირედით აღემატება გასული წლის მარჩვენებელს (2019 წელს - 11.5%).




დიაგრამა 16: ნაერთი ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების კომპონენტები, ათასი ლარი. წყარო: ფინანსთა სამინისტრო

გადასახადების ტიპების მიხედვით დინამიკის ანალიზისათვის საყურადღებოა 2016 წლის განხორციელებული სახაზინო რეფორმა, რომლის საფუძველზეც ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი. შედეგად, გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდეგ გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტობრივად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით. აღნიშნულმა რეფორმამ, ერთი მხრივ, გაამარტივა გადასახადის გადამხდელთათვის გადახდის პირობები, თუმცა გამოიწვია ცვლილებები აღრიცხვის სპეციფიკასა და გადასახადების კლასიფიცირებაში, და აღნიშნულის გავლენით, გამოწვევები შექმნა გადასახადების ტიპების მიხედვით შემოსავლების მობილიზების გასული წლების მონაცემებთან შესადარისობის კუთხით. ამასთან, 2020 წელს საგადასახადო შემოსავლებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია Covid-19-ის პანდემიამ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გადასახადების დინამიკაში 2020 წელს შემდეგი ტენდენციები გამოვლინდება:

- წინა წლებისგან განსხვავებით კლება დაფიქსირდა დამატებული ღირებულების და საშემოსავლო გადასახადებით მობილიზებულ თანხებში, რაც Covid-19-ის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად ეკონომიკური აქტივობის კლებით იყო განპირობებული;
- 2020 წელს გაიზარდა მხოლოდ მოგების და აქციზის გადასახადები, შესაბამისად 53 და 113 მლნ ლარით. აღსანიშნავია რომ მოგების გადასახადის რეფორმის შემდეგ მოგების გადასახადი ზედიზედ მეორე წელს გაიზარდა.

- უმნიშვნელოდ შემცირდა ქონებისა და იმპორტის გადასახადები, შესაბამისად 41 და 5 მლნ ლარით.
- 2020 წელს, წინა წლის მსგავსად, სხვა გადასახადების უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა. სხვა გადასახადის ასეთი თავისებურება უკავშირდება სახაზინო კოდის რეფორმას და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პროცესებს (2016 წელს სხვა გადასახადები 26 მლნ-დან 527 ლარამდე იყო გაზრდილი, 2017 წელს იგი 527-დან 64 მლნ ლარამდე შემცირდა, ხოლო 2018 წელს 115 მლნ ლარამდე გაიზარდა);




დიაგრამა 17: გადასახადების წვლილი საგადასახადო შემოსავლების ზრდაში. წყარო: ფინანსთა სამინისტრო და საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

### რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯით ნაწილს, 2020 წელს:

- 2019 წლისაგან განსხვავებით გაიზარდა ე.წ. მიმდინარე ხარჯები (23.7%-ით), რამაც შემოსავლების შემცირებასთან ერთად (3,068 მლნ ლარით) გააუარესა ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მნიშვნელოვნად გაზრდილი არაფინანსური აქტივების პარალელურად 238%-ით გაზარდა უარყოფითი მთლიანი სალდო;
- 2020 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფის (1,377 მლნ ლარით) და სუბსიდიების (559 მლნ ლარით) მუხლით განეული ხარჯები, რომლებმაც ერთობლივად მიმდინარე ხარჯის ზრდის 75% შეადგინეს.
- ზრდის ტენდენციას ავლენს არაფინანსური აქტივების შექმნა, რომელიც 156 მლნ ლარით გაიზარდა და 3,790 მლნ ლარი შეადგინა.
- ჯამურად, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2020 წელს 3 221 მლნ ლარით გაიზარდა და 4 574 მლნ ლარი შეადგინა (მშპ-ს 9.3%).

2020 წელს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ძირითადად მოხდა ვალდებულებების მუხლით, რომელიც წინა წელთან შედარებით 4 965 მლნ ლარით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ვალდებულებების მუხლში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საშინაო ვალდებულებები (2.2-ჯერ) ასევე საგარეო ვალდებულებები (9.3-ჯერ).

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის აღნიშნული მაჩვენებელი 7.2 პპ-ით აღემატება მთავრობის 2019 წლის ძირითადი ფინანსური და მაკროეკონომიკური ინდიკატორებით წარმოდგენილ დოკუმენტს (2.1%), ხოლო საბიუჯეტო ოფისის იმავე პერიოდის საპროგნოზო ინდიკატორს 7.7 პპ-ით აღემატება (1.6%).



დიაგრამა 18: ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. წყარო: ფინანსთა სამინისტრო

### 3.2 ჩანართი. დღგ-ის გაპი 2020 წლისათვის

ეს ჩანართი მოიცავს [საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადის პოტენციური დონისა და ფაქტობრივი მარჯვენა მისი გადახრის შესახებ](#)

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევის განახლებას 2020 წლის მონაცემთა გათვალისწინებით.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წელს:

- პოლიტიკის საორიენტაციო სტრუქტურის შესაბამისი პოტენციური დღგ 7.5 მილიარდ ლარს შეადგენდა (კლება - 3.5%);
- პოლიტიკის არსებული სტრუქტურის შესაბამისი პოტენციური დღგ 6.3 მლრდ ლარი იყო (კლება - 4.8%);
- ფაქტობრივი დღგ 4.8 მილიარდ ლარს აღწევდა (კლება - 7.7%).

ამდენად, 2019 წლისაგან განსხვავებით, პოლიტიკის ორივე სტრუქტურის შესაბამისი პოტენციური დღგ საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა გაზრდილი იყო ფაქტობრივად დეკლარირებული დღგ-ის (ტერიტორიაზე წმინდა გადასახდელი + იმპორტზე გადახდილი) ზრდის ტემპი, რაც 2016 წლის ტენდენციის გაგრძელებას წარმოადგენს.

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ 2020 წელს 2019 წელთან შედარებით დღგ-ს გაპი გაუმჯობესდა. ჯამში, 2020 წელს:

- დღგ-ის მთლიანი საშუალო გაპი 19,9%-ს შეადგენს (2011-2019 წლებში - 27.4%);
- მორჩილების გაპი 23.6% იყო (საშუალოდ - 32.0%);
- პოლიტიკის გაპი 15.8%-ს შეადგენდა (საშუალოდ - 14.5%);
- C-efficiency 64.3%-ს აღწევდა (საშუალოდ - 58.1%).

როგორც კვლევით პუბლიკაციაში იყო აღნიშნული, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2016 წლის ნახტომი სტრუქტურულ ცვლილებას წარმოადგენდა და დღგ-ის გაპის საანალიზო პერიოდის ახალი, მესამე ნაწილის დასაწყისად შეიძლება განხილულიყო. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ეროვნული ანგარიშების განახლებული მეთოდოლოგიაზე გადასვლის შემდეგ დღგ-ს გაპის რაოდენობრივი მონაცემები შეიცვალა თუმცა მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს გაპი მნიშვნელოვნად გაიზარდა კლების ტრენდი კვლავ შენარჩუნდა.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ [დღგ-ის გაპის კვლევა](#).

### 3.3 ფისკალური პოლიტიკის იმპულსი და ფისკალური სივრცე


ფისკალური ინდიკატორების რაოდენობრივ შეფასებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია შევადგასოთ ფისკალური პოლიტიკის გავლენის მიმართულება ეკონომიკაზე. უნდა განვსაზღვროთ ფისკალურმა პოლიტიკამ წაახალისა ეკონომიკა (ექსპანსიური, მასტიმულირებელი), თუ შეზღუდა ეკონომიკური აქტივობა (შემზღუდავი). გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკიდან უნდა გამოვრიცხოთ ე.წ. ავტომატური სტაბილიზატორები (რომლებიც ეკონომიკური ციკლების დროს იცვლება) და მხოლოდ უნდა განვიხილოთ, ე.წ. **დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა**. თავის მხრივ, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა განხილული უნდა იქნეს ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებაში. როგორც ვიცით, ეკონომიკის მოკლევადიანი სტაბილურობისთვის გარდა ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებისა, საჭიროა, რომ ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობდეს ეკონომიკური ციკლების მოსწორებას, მიმართავდეს რა კონსოლიდაციას ეკონომიკური ბუმის პერიოდში და - ექსპანსიას ეკონომიკის შენელებისას.

შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის მიმართულებისა და ციკლურობის შესაფასებლად უნდა **განვსაზღვროთ ფისკალური პოზიცია**, როგორც ციკლურად კორექტირებული პირველადი სალდო და ბალანსი უარყოფითი ნიშნით. დადებითი ფისკალური პოზიცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ხოლო უარყოფითი ფისკალური პოზიცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკიდან მეტ რესურსს იღებს, ვიდრე აბრუნებს (ფისკალური კონსოლიდაცია). ასევე, **განვსაზღვროთ ფისკალური იმპულსი**, როგორც ფისკალური პოზიციის ცვლილება. თუ გამოშვების გაპი მცირდება, ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკისთვის აუცილებელია ან ნაკლები კონსოლიდაცია (დადებითი გაპის დროს) ან მეტი ექსპანსია (უარყოფითი გაპის დროს), რაც ნიშნავს, რომ ფისკალური იმპულსი დადებითი უნდა იყოს. თუ გამოშვების გაპი იზრდება, ანტიციკლური პოლიტიკისთვის აუცილებელია ან მეტი კონსოლიდაცია (დადებითი გაპის დროს) ან ნაკლები ექსპანსია (უარყოფითი გაპის დროს), რაც ნიშნავს, რომ ფისკალური იმპულსი უარყოფითი უნდა იყოს.<sup>7</sup>

**2020 წელს ფისკალური პოზიცია ექსპანსიური** იყო ანუ მიმართული იყო ეკონომიკის სტიმულირებისაკენ. 2020 წელს მშპ-ის ჩამორჩენა მისი პოტენციური დონიდან გაიზარდა და მნიშვნელოვანი უარყოფითი გაპი დაფიქსირდა, ასევე გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობაც და რაც მთავარია დაფიქსირდა უარყოფითი ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი ბალანსი, რაც დადებით ფისკალურ პოზიციას ნიშნავს. ასევე აღსანიშნავია, რომ 2015-2018 წლებში მშპ-ს უარყოფითი გეპის პარალელურად, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა არ იყო გაპის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული. ამ პერიოდში, თუ გამოვრიცხავდით ფისკალური პოლიტიკიდან ციკლურ კომპონენტს და საპროცენტო ხარჯებს (რომელიც დისკრეციული პოლიტიკის შეფასებისთვის არ გამოგადგება), ციკლურად შესწორებული ბიუჯეტის სალდო მუდმივად დადებითი იყო, რაც ნიშნავს რომ 2015-2018 წლებში გვექონდა უარყოფითი ფისკალური პოზიცია.


როგორც დიაგრამა 19-ზე არსებული მშპ-ს გეპისა და ციკლურად შესწორებული მთლიანი პირველადი ბალანსის კომბინაცია გვიჩვენებს, 2020 წელს ფისკალური პოლიტიკა იყო ანტიციკლური თუმცა ეს საკმარისი არ იყო უარყოფითი მშპ-ს გეპის შემცირებისთვის.

<sup>7</sup> დეტალური ინფორმაციის და მეთოდოლოგიისათვის იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: "ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი." <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Fiscal Stance and Space.pdf>



**დიაგრამა 19:** ფისკალური პოზიცია და მშპ-ს გეზი. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები

თუმცა ანტიციკლურობა ასევე შესაძლებელია შეფასდეს დინამიკაში, კიდევ უფრო მკაცრი კრიტერიუმით ე.წ. ფისკალური იმპულსისა (ფისკალური პოზიციის ცვლილება) და მშპ-ს გეზის ცვლილების კომბინაციით. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ 2020 წელს ფისკალური იმპულსი დადებითი იყო ქვეყანაში და ვინაიდან 2020 წელს მშპ-ს უარყოფითი გეზის ზომა გაიზარდა (იხ. დიაგრამა 4) ეს 2020 წელს კვლავ ფისკალური პოლიტიკის ანტიციკლურ ექსპანსიაზე მიუთითებს.



**დიაგრამა 20:** ფისკალური იმპულსი და მშპ-ს გეზის ცვლილება. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები

## 4. მონეტარული სექტორი

### ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- საშუალო წლიური ინფლაცია 5.2%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა, რაც აღემატება 3%-ან მიზნობრივ მაჩვენებელს. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია 2020 წელს სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასების ზრდით.

**განმარტება:** ინფლაცია დროის გარკვეულ პერიოდში ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ფასების საერთო დონის ზრდაა. ინფლაციის საზომად, ძირითადად, გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), რომელიც ტიპური შინამეურნეობის მიერ მოხმარებისთვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების წარმომადგენლობითი კალათის ღირებულებას ასახავს.

- 2020 წელს 1.8 პპ-ით გაიზარდა და 62.7% შეადგინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი. 2017-2019 წლებში კლებამდე დეპოზიტების დოლარიზაცია 2013 წლიდან უწყვეტად იზრდებოდა.

**განმარტება:** დოლარიზაცია ადგილობრივი ვალუტის პარალელურად ეკონომიკური ტრანზაქციებისთვის უცხოური ვალუტის გამოყენების დონეს ასახავს. ადგილობრივი ვალუტის ჩანაცვლების მაჩვენებლებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობაზე.

- მნიშვნელოვნად გაიზარდა დეპოზიტური კორპორაციების მიერ კერძო სექტორის დაკრედიტება.

**განმარტება:** დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა წარმოადგენს ცენტრალური ბანკის, კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების და სხვა დეპოზიტური ინსტიტუტების ანგარიშს, რომელიც, სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვასთან ერთად, ფინანსური კორპორაციების მიმოხილვას ქმნის. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა მოიცავს ცენტრალური ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვას.


- გაუფასურდა ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.

**განმარტება:** გაცვლითი კურსი ადგილობრივი ვალუტის ერთეულის უცხოური ვალუტის ერთეულში ფასს ზომავს. ნომინალური გაცვლითი კურსისგან განსხვავებით, რეალური გაცვლითი კურსი ადგილობრივი პროდუქციის უცხოურ საქონელთან შეფარდებით ფასს ასახავს.

## 4.1 ინფლაციის მიმოხილვა

**2020 წელს ფასების საშუალო საერთო დონე 2019 წელთან შედარებით 5.2%-ით გაიზარდა**, რაც 2019 წლის საშუალო წლიურ ინფლაციაზე 0.3 პპ-ით მეტია. 2020 წლის წლიურმა (პერიოდის ბოლო) ინფლაციამ კი 2.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლისათვის ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 3%-ით იყო განსაზღვრული.

როგორც დიაგრამა 21-ზე ჩანს, თითქმის ყველა სასაქონლო ჯგუფმა სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ზრდის მიმართულებით შეიტანა წვლილი. ამ მხრივ აღსანიშნავია სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (3.3% პპ-ით). შემცირების მიმართულებით მხოლოდ ტრანსპორტმა და დასვენება, გართობა, კულტურის სასაქონლო ჯგუფებმა იმოქმედეს, თუმცა მათი გავლენა მთლიან ფასებზე უმნიშვნელო იყო.



**დიაგრამა 21:** საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია. წყარო: საქსტატი

თუ განვიხილავთ 2020 და 2019 წლების ინფლაციის დეკომპოზიციას 12 სასაქონლო ჯგუფის მიხედვით (ცხრილი 4), კარგად ჩანს, რომ 2020 წელს ინფლაციაზე გავლენის მქონე პროდუქციის აღნიშნული სტრუქტურა განსხვავდება 2019 წლის მაჩვენებლისაგან, ასევე განსხვავდება მათზე მოქმედი ფაქტორებიც:

- 2019 წლისგან განსხვავებით 2020 წელს ტრანსპორტისა და დასვენება, გართობა, კულტურის სასაქონლო ჯგუფებმა ინფლაციაზე გავლენა შემცირების მიმართულებით იქონიეს, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს Covid-19-ის პანდემიიდან და მისი მიზეზით დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე ამ ჯგუფებზე მოთხოვნის შემცირების შედეგად;
- 2020 წელს სურსათის ფასების ზრდის წვლილი ინფლაციაში კიდევ უფრო გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად უკავშირდებოდა სურსათზე მსოფლიო ფასების უმნიშვნელო ზრდას;
- 2020 წელს განსხვავებით 2019 წლისა შემცირდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფის გავლენა ინფლაციაზე, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ძირითადად განაპირობა იმან, რომ 2019 წელს გაიზარდა თამბაქოს აქციზი და შესაბამისად ამ ჯგუფის წვლილი ინფლაციის ზრდაში მაღალი იყო.

2020		2019	
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.28	2.51	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები
ჯანმრთელობის დაცვა	0.52	1.07	ალკოჰოლური სასმელები, თაბაკა, ნარკოტიკები
ავიჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	0.49	0.36	ტრანსპორტი
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.47	0.28	ჯანმრთელობის დაცვა
ალკოჰოლური სასმელები, თაბაკა, ნარკოტიკები	0.42	0.25	დასვენება, გართობა და კულტურა
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.30	0.18	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები
განათლება	0.11	0.17	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	0.07	0.14	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება
თანსაცემლი და ფხვსაცემლი	0.02	0.12	განათლება
კავშირგაბმულობა	-0.01	0.09	ავიჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.09	-0.08	კავშირგაბმულობა
ტრანსპორტი	-0.44	-0.27	თანსაცემლი და ფხვსაცემლი


**ცხრილი 4:** საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია, 2019-2020 წწ. წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

## 4.2 მონეტარული აგრეგატების მიმოხილვა

**2020 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-მდე შემცირდა, რაც 1.0 პპ-ით ნაკლებია 2019 წლის ბოლოს არსებულ განაკვეთზე.** წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა სულ 8-ჯერ გაიმართა, საიდანაც განაკვეთი აპრილში 0.5 პპ-ით შემცირდა, ხოლო ივნისსა და აგვისტოში 0.25 პპ-ით.


აღსანიშნავია, რომ 2017 წლის დასაწყისში, ერთჯერადი ფაქტორების შედეგად (აქციების ზრდა და გაცვლითი კურსის გაუფასურება) ინფლაციის დროებითი ზრდის გამო, მონეტარული პოლიტიკა უმნიშვნელოდ გამკაცრდა. განაკვეთის შემდგომი მატება წლის შუაში ინფლაციური მოლოდინების ზრდას მოჰყვა, ხოლო წლის ბოლოს - ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის საგრძნობ გაუფასურებას, რამაც, ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვის მიუხედავად, ინფლაციაზე ზეწოლა გაზარდა. 2018 წელს განაკვეთის კლებას ჰქონდა ადგილი, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მოსალოდნელზე სწრაფი გამყარების შედეგად, შემცირებულ ინფლაციურ ზეწოლას უკავშირდება, რასაც ზომიერად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის დაწყება მოჰყვა. იგივე გაგრძელდა 2019 წელს, მაგრამ 2019 წლის ბაზრულში ვალუტის კურსის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ, რომელმაც ინფლაციაზე მნიშვნელოვანი წნეხი მოახდინა, ეროვნულმა ბანკმა აგვისტოში არსებული 6.5 პროცენტიდან დეკემბრის ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9 პროცენტამდე გაზარდა. 2020 წელს პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვების შედეგად შემცირებული ეკონომიკური აქტივების წახალისების მიზნით ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 1 პპ-ით შეამცირა და წლის ბოლოსთვის 8.0 პროცენტზე დააფიქსირა.

**2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა როგორც მთლიან სესხებზე, ასევე დეპოზიტებზე. 2020 წელს სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 12.2% შეადგინა, რაც 0.5 პპ-ით მეტია 2019 წლის ანალოგიურ მარცვლებზე, ხოლო დეპოზიტებზე საშუალო განაკვეთი 6.8% იყო (1.2 პპ-ით ზრდა). შესაბამისად, 0.6 პპ-ით შემცირდა და 5.4%-ს მიაღწია საპროცენტო სპრედმა (განაკვეთებს შორის სხვაობა).**



**დიაგრამა 22:** საპროცენტო განაკვეთები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

**აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ როგორც სესხებზე (15.7%, 0.6 პპ), ასევე - დეპოზიტებზე (9.2%, 1.4 პპ) საშუალო საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. თუმცა შემცირდა საპროცენტო სპრედი, რომელმაც 6.5% შეადგინა (0.8 პპ-ით კლება). შემცირდა საშუალო განაკვეთები უცხოური ვალუტით სესხებზე (6.6%, -0.5 პპ) და დეპოზიტებზე (2.5%, -0.3 პპ), შესაბამისად სპრედი შემცირდა სპრედის (4.1%, -0.2 პპ).**




**დიაგრამა 23:** საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

### 4.3 დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა

2020 წელს დეპოზიტური კორპორაციების წმინდა უცხოური აქტივები 3.5-ჯერ გაიზარდა და წლის ბოლოსთვის 930.8 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა უცხოური აქტივები 14.6%-ით გაიზარდა და 10.9 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების (საბანკო სექტორის) წმინდა უცხოური აქტივები 9.5%-ით შემცირდა -10.0 მილიარდ ლარამდე.


თავის მხრივ, 2019 წელს 19%-ით გაიზარდა დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო აქტივები და წლის ბოლოსთვის 29.4 მილიარდი ლარი შეადგინა. მათ შორის, 20.6%-ით გაიზარდა და 40.2 მილიარდ ლარს მიაღწია წმინდა საშინაო დაკრედიტება, ხოლო სხვა წმინდა მუხლები 25.2%-ით შემცირდა -10.7 მილიარდ ლარამდე.



დიაგრამა 24: დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).

2020 წლის ბოლოსთვის დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო დაკრედიტებიდან ყველაზე დიდი წილი (47.7%) სხვა რეზიდენტი სექტორების (ფიზიკური პირების) დავალიანებაზე მოდიოდა - 19.1 მილიარდი ლარი (ზრდა - 19.7%). მომდევნო პოზიციაზე იყო (46.5%) სხვა არაფინანსური კორპორაციების დავალიანება, რომელმაც 18.7 მილიარდ ლარს მიაღწია (ზრდა - 25.2%). აღსანიშნავია, რომ 2020 წელს შენარჩუნდა 2015 წელს დაწყებული ტენდენცია, როდესაც ფიზიკური პირების დავალიანებამ მონაცემთა აღრიცხვის ისტორიაში პირველად გადააჭარბა სხვა არაფინანსური კორპორაციების დავალიანებას და წმინდა საშინაო დაკრედიტების ყველაზე მსხვილი მუხლი შეადგინა (2005 წლამდე ყველაზე მსხვილი მუხლი მთავრობის წმინდა დავალიანება იყო).

რაც შეეხება საშინაო დაკრედიტების სხვა მუხლებს, მთავრობის წმინდა დავალიანება წლის ბოლოსთვის 1.5 მილიარდ ლარს შეადგენდა (კლება - 6.9%), სახელმწიფო არასფინანსური კორპორაციების დავალიანება - 190.5 მილიონ ლარს (ზრდა - 81.7%), ხოლო სხვა ფინანსური სექტორის დავალიანება - 667 მილიონ ლარს (კლება - 4.1%).




**დიაგრამა 25:** დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო დაკრედიტება და მისი კომპონენტები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).

#### 4.4 მონეტარული აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მიმოხილვა

2020 წლის ბოლოსთვის, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული აგრეგატები M3 (30.4 მილიარდი ლარი) და M2 (13.7 მილიარდი ლარი), შესაბამისად, 24.6%-ითა და 18.8%-ით გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა M1 (10.0 მილიარდი ლარი) და M0 (3.7 მილიარდი ლარი) აგრეგატების შემთხვევაშიც - შესაბამისად, 9.7% და 15.1%. 20.8%-ით გაიზარდა და წლის ბოლოსთვის 10.8 მილიარდი ლარი შეადგინა სარეზერვო ფულმა. აღსანიშნავია, რომ 2014-2020 წლებში მონეტარული აგრეგატები უწყვეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გარდა 2015 წლისა, როდესაც M2 აგრეგატი უმნიშვნელოდ შემცირდა.

**2020 წელს 1.8 პპ-ით მოიმატა და 62.7% შეადგინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა. 2017-2019 წლებში კლებამდე, დეპოზიტების დოლარიზაცია 2013 წლიდან უწყვეტად იზრდებოდა (2019 წელს დაიკლო 0.8 პპ-ით).**



დიაგრამა 26: მონეტარული აგრეგატები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).

**2020 წელს ლარის გაცვლითი კურსი გაუფასურდა შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში:** ევრო (-11.2%), მოლდოვური ლეი (-10.8%), აშშ დოლარი (-9.3%), აზერბაიჯანული მანათი (-9.3%), სომხური დრამი (-7.7%) და უკრაინული გრივნა (-5%). თავის მხრივ, ლარი გამყარდა თურქულ ლირასთან (11.5%), ბელარუსულ რუბლთან (5.7%) და რუსულ რუბლთან (1.1%) მიმართებით.

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ევრო	-6.9	-3.7	-7.6	-5.3	-5.2	-11.2
დოლარი	-22.2	-4.1	-5.7	-1.0	-10.1	-9.3
თურქული ლირა	-3.3	6.6	14.0	27.8	8.3	11.5
რუსული რუბლი	25.0	5.7	-17.5	6.2	-7.1	1.1
აზერბაიჯანული მანათი	0.2	52.6	0.9	-2.4	-10.0	-9.3
ბელარუსული რუბლი	20.3	20.7	-8.3	4.4	-7.8	5.7
მოლდოვური ლეი	3.5	2.5	-12.7	-9.8	-6.0	-10.8
სომხური დრამი	-10.8	-3.3	-5.2	-0.9	-10.6	-7.7
უკრაინული გრივნა	45.4	14.2	-1.6	1.2	-15.0	-5.0

ცხრილი 5: ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (ზრდა ნიშნავს გამყარებას). წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.